

შპს „ჯორჯიან ექსპრესი“-ს

ფინანსური ანგარიშგება და განმარტებები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება.....	3-4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5-6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7-14

სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2019 წელი
ნეტო ამონაგები		19,649,463
საქონლის გაყიდვიდან		-
მომსახურების გაწევიდან	3	19,649,463
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		-
სხვა		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(10,406,294)
საწყისი მარაგები		176,632
მარაგების შესყიდვა		1,117,238
გადამუშავების დანახარჯები	4	9,337,053
საბოლოო მარაგები		(224,629)
საერთო მოგება		9,243,169
სხვა შემოსავალი		84,981
დასაქმებულთა ანაზღაურება (-)		(3,950,543)
ცვეთა და ამორტიზაცია (-)		(434,090)
საპროცენტო შემოსავალი		-
საპროცენტო ხარჯი (-)		-
იჯარის ხარჯი (-)		(157,360)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი (-)	5	(1,429,923)
სულ საოპერაციო ხარჯები		(5,971,916)
საოპერაციო მოგება		3,356,234
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები (-)		-
მარაგები (-)		-
სხვა არაფინანსური აქტივები (-)		-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		501,974

მიღებული დივიდენდები	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ზარჯი)	-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	3,858,208
მოგების გადასახადი (-)	-
მოგება/(ზარალი)	3,858,208
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	3,858,208
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	9,665,563
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(727,368)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში კაპიტალის სხვა ცვლილებები	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	12,796,403

საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნები	31-12-19	31-12-18
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	5,522,903	3,809,230
სავაჭრო მოთხოვნები	7	3,866,903	3,270,495
გადახდილი ავანსები	-	-	-
მარაგები		224,629	176,632
მზა პროდუქცია	-	-	-
სხვა		224,629	176,632
საინვესტიციო ქონება	-	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები		25,451	180,940
ბიოლოგიური აქტივები	-	-	-
თვითღირებულების მოდელით	-	-	-
გადაფასების მოდელით	-	-	-
გუდვილი	-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები		10,932	10,932
ძირითადი საშუალებები	8	3,803,253	2,491,943
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-	-
სულ აქტივები		13,454,071	9,940,172

ვალდებულებები

ფინანსური იჯარის ვალდებულება	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	657,668	274,609
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	-	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	-	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	-
მიღებული გრანტები	-	-
სხვა ვალდებულებები	-	-
სულ ვალდებულებები	657,668	274,609
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	9 5,000	5,000
საემისიო შემოსავალი	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	12,791,403	9,660,563
გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა რეზერვები	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	12,796,403	9,665,563
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	13,454,071	9,940,172

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯორჯიან ექსპრესი“ (ს/ნ 201954965) რეგისტრირებულია #2/4-308 1995 წლის 26 დეკემბერს. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, წერეთლის გამზირი #105, შპს „ჯორჯიან ექსპრესი“-ს მესაკუთრეა: ეკატერინე არველაძე (პ/ნ 01013001927) 100-%; კომპანიის გენერალური დირექტორი არის პაატა სარიშვილი (პ/ნ 01009003054). კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საერთაშორისო და შიდა გადაზიდვა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება ყოველი კალენდარული თვის ბოლოს და მისი შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სკს) გათვალისწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

სკს-ს მიხედვით საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება.

მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავლიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან

დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და სხვა). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან

► ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები (პროცენტი):

ძირითადი საშუალებების დასახელება	სასარგებლო გამოყენების ვადა
შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	10%
ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	15%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა ან აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში ფულის ნაშთისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ბანკის ეროვნული

სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ამონაგები

მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი

2019 წელი

ლარი

19,649,463

4. გადამუშავების დანახარჯი

გადაზიდვის ღირებულება
სატერმინალო მომსახურება
ტვირთის მომსახურება
დაზღვევა
საწყობების საიჯარო ქირა

2019 წელი

ლარი

8,843,105

248,070

3,983

83,125

158,770

9,337,053

5. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	<u>2019 წელი</u>
	ლარი
რეკლამის ხარჯი	37,533
კომუნიკაციის ხარჯი	114,575
ავტომომსახურების ხარჯი	265,442
კომპიუტერის ხარჯი	39,783
საკონსულტაციო ხარჯი	46,341
ქონების გადასახდი მიწაზე	36,256
ბანკის მომსახურების საკომისიო	36,748
საკანცელარიო ხარჯი	230,274
კომუნალური ხარჯი	35,747
მივლინების ხარჯი	156,642
სხვადასხვა ხარჯი	430,582
	<u>1,429,923</u>

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

	<u>2019 წელი</u>	<u>2018 წელი</u>
	ლარი	ლარი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,998,046	1,995,419
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3,446,6797	1,732,299
ეროვნული ვალუტა საღაროში	78,056	84,512
	<u>5,522,903</u>	<u>3,809,230</u>

7. სავაჭრო მოთხოვნები

	<u>2019 წელი</u>	<u>2018 წელი</u>
	ლარი	ლარი
მოთხოვნები	3,866,903	3,270,495
	<u>3,866,903</u>	<u>3,270,495</u>

8. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება					
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	110,255	802,098	3,534,241	878,906	5,325,500
შემოსვლები	600,00	605,134	410,471	161,399	1,777,004
გასვლები	0	(73,391)	(129,593)	0	(202,984)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	710,255	1,333,840	3,815,119	1,040,305	6,899,520
ცვეთა					
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	0	245,370	2,129,041	459,145	2,833,557
ცვეთის დანარიცხი	0	33,706	285,282	115,102	434,090
გასვლები	0	(70,043)	(101,337)	0	(171,380)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	0	209,033	2,312,986	574,247	3
წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	710,255	1,124,807	1,502,133	466,058	3,803,253
წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	110,255	556,727	1,405,200	419,761	2,491,943

9. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 01 იანვრისთვის შეადგენდა 5,000 ლარს და მას სრულად ფლობს დამფუძნებელი.

10. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

გენერალურმა დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 25 სექტემბერს.

შპს „ჯორჯიან ექსპრესი“-ს

გენერალური დირექტორი: -----

/პ.სარიშვილი/

